ისტორია

დავით მერკვილაძე

# „ზენა სოფელი“

(აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან)

## „ზენა სოფელი“ ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში

„ზენა სოფელი“ „შიდა ქართლთან“ ერთად მოიხსენიება ქართლის უძველეს ამბავთა გადმოცემისას. ლეონტი მროველის ცნობით, მცხეთოსს თავის შვილთაგან სამ ყველაზე სახელოვანთათვის განუყვია თავისი „ქუეყანა და ნათესავი მათი“. ოძრხოსისათვის მიუცია მიწა-წყალი „ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“, ჯავახოსს ერგო ტერიტორია „ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა“, ხოლო უფლოსი დარჩენილა რა მამისეულ სამკვიდროში – მცხეთაში, უპყრია „ქვეყანა არაგჳითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქჳიან შიდა-ქართლი“ [6:9-10].

წყაროს ამ ცნობიდან ჩანს, რომ ზენა სოფელი და შიდა ქართლი გეოგრაფიულ-ტერიტორიულად ერთმანეთს ფარავს. ამასთან „ზენა სოფელი“ აშკარად უფრო ძველი სახელწოდება ჩანს. „ზენა სოფლის“ როგორც შიდა ქართლის ადრეული სახელწოდების შესახებ ს. ჯანაშია აღნიშნავს: „საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ სახელწოდებას „შიდა ქართლი“ უფრო ადრინდელი ხანისათვის სცვლის „ზენა სოფელი“. რომ „ზენა სოფელი“ უფრო ძველი სახელწოდებაა, ამას მოწმობს: 1) ლეონტი მროველის პირდაპირი განცხადება („აწ“!); 2) ის ფაქტი, რომ ზენა სოფლის ხსენება ჩვენ გვხვდება მხოლოდ ძველ ძეგლებში, ხოლო ქართული ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში იგი სრულიად ქრება; 3) თვით ტერმინოლოგია: „ქვეყნის“ ცნება აქ აღნიშნულია სიტყვა „სოფლით“, მაშინ როცა შემდეგში, უკვე XI საუკუნეში, მას სცვლის... უფრო ახალი ტერმინი „ქვეყანა“ („ზემო ქვეყანა“) [16:301]...

ქართულ წყაროებში თავად ტერმინ „სოფლის“ სიძველის შესახებ ივ. ჯავახიშვილი ადრევე შენიშნავდა, რომ შედარებით გვიანი ხანის „ქვეყანას“ უფრო ადრეული ეპოქისათვის „სოფელი“ შეესაბამება, ხოლო გვიანდელ „სოფელს“ (მცირე დასახლებულ პუნქტს) – „დაბად“. თვითონ „ქვეყანა“კი იმ დროს გამოიყენებიდა მხოლოდ როგორც დედამიწის

(მიწის) აღმნიშვნელი ტერმინი. ტერმინოლოგიის ამგვარი ცვალებადობა კი, მისი აზრით, VIII ს-დან უნდა მომხდარიყო[14:6; 15:29].

ამრიგად, ლეონტი მროველის ზემომოტანილი ცნობიდან შეიძლება დავასკვნათ: „ზენა სოფელი“ არის მემატიანის მიერ აღნიშნული მხარის უძველესი სახელწოდება ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობამდელი ეპოქისა (სახელი მამამთავრისაგან ერქმევა), ხოლო „შიდა ქართლი“ ავტორის (თუ რედაქტორის?) თანადროული სახელია: „რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი.“ ამაზე მეტყველებს გამოთქმის ფორმა – „აწ ჰქჳიან“. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეონტი სხვაგვარად აღნიშნავდა: „რომელსა ერქუა (ან „რომელი იყო“) შიდა ქართლი“.

მსგავსება შეიძლება გამოვნახოთ მამამთავართა ეპოქის გადმოცემის სხვა ეპიზოდთან დაკავშირებითაც: ქართლოსს დასაფუძნებლად ერთი მთა აურჩევია მტკვრისა და არაგვის შესართავთან. ლეონტი მროველის სიტყვებით, ეს არის მთა, „რომელსა ეწოდების არმაზი“. მაგრამ იქვე განმარტებულია: „ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი.“ ცეს უკანასკნელი სახელი კი („ქართლი“) ქართლოსს შეურქმევია მისთვის [6:8]. აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით, შესაძლებელია ლეონტი ცდებოდეს და „შიდა ქართლი“ არა გვიანი, არამედ ძველი წარმოშობის სახელი იყოს, „წარმოშობილი ეთნიკური ქართლის არსებობის უძველეს დროს, როცა ქართლში ჯერ კიდევ არ შემოდიოდა არც კახეთ-კუხეთი, არც სამცხე-ჯავახეთი...“ [3:327].

თვალნათლივ ჩანს, რომ ქართლოსის რჩეული მთის უძველესი სახელწოდება ყოფილა „ქართლი“, ხოლო რაც მასზე არმაზის კერპი აღმართულა (დაახ. ძვ. წ. IV-III სს. მიჯნა), კერპის სახელი თვითონ მთამაც მიიღო. მას შემდეგ, და ახლაც, როცა მემატიანე ამ ამბებს აღწერს (XI ს.), ამ მთას არმაზის მთას უწოდებენ. რაც შეეხება მთის პირველ სახელს, ლეონტის სიტყვებით „მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ [6:8].

აქ კი ნათლად გამოიხატება, რამდენად წინ უსწრებს მემატიანე მოვლენებს, როცა ამ სიტყვებს ქართლოსის ქართლის მთაზე დამკვიდრების შესახებ ამბის გადმოცემისას გვიამბობს. რასაკვირველია, თავად ყველაზე უკეთ უწყის, სანამ მთის სახელი მთელი ქვეყნის სახელად განივრცობოდა, ქართლოსის ამ მთაზე დაფუძნების შემდეგ კიდევ მრავალ წყალს უნდა ჩაევლო.

როგორც ჩანს, ამ უძველეს ამბავთა შესახებ თხრობისას ლეონტი მროველი ზეპირი გადმოცემების გარდა სხვა წერილობით წყაროებსაც ეყრდნობა და თავისებურ რედაქციასაც უკეთებს. მას უცვლელად გადმოაქვს უძველესი სახელწოდებანი, მაგრამ მათგან უკვე მივი-

წყებულთ (ან თითქმის მივიწყებულთ) მკითხველისათვის ადვილი გასაგები რომ გახადოს, განმარტავს თანამედროვე სახელწოდებებით. ამის დასტურია „ქართლის მთა“, „რომელსა ეწოდების არმაზი“, ასევე „ზენა სოფელი, რომელსა აწ ჰქჳიან შიდა ქართლი“.

სხვაგან ლეონტი მროველი „შიდა ქართლს“ უწოდებს ფარნავაზ მეფის მიერ მისი სპასპეტისადმი გადაცემულ მიწა-წყალს (ქვეყნის საერისთაოებად დანაწილების შემდეგ), რომელსაც ზუსტად იგივე საზღვრებს უხაზავს, რითაც მანამდე უფლოსის სამფლობელოს აღნიშნავდა: „...ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგჳითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარამდე, რომელ არს შიდა ქართლი“ [6:24] (აქაც ნიშანდობლივია გამეორება ფრაზისა: „რომელ არს შიდა ქართლი“. ანუ ავტორს სურს თქვას, რომ ეს არის ტერიტორია, რომელსაც დღეს შიდა ქართლი ჰქვია).

შიდა ქართლის სამხრეთ საზღვრად ამჯერად აღნიშნულია „ფანვარი“ ანუ ფარავნის ტბა, მაშინ როცა პირველ შემთხვევაში ფარავნის ტბა მხოლოდ უფლოსის წილი ქვეყნის სამხრეთ საზღვრად აღინიშნება და არა შიდა ქართლისა. ე. ი. შიდა ქართლი ჩვენი ისტორიკოსის ამ უკანასკნელი მოწმობით თრიალეთის ქედის სამხრეთით ვრცელდებოდა ჯავახეთამდე, ანუ მოიცავდა თრიალეთის მხარესაც, რომელიც თავის მოსახელე ქედსა და ფარავნის ტბას შორის მდებარეობს (იხ. ვახუშტი).

ის გარემოება, რომ უფლოსის წილი მიწა-წყალიც და უძველესი (ფარნავაზისეული) სასპასპეტო ტერიტორიაც ფარავდა თრიალეთის თემსაც, უკვე ხაზგასმითაა აღნიშნული ვახუშტისთან: მცხეთოსმა „უფლოსს მისცა ტფილის-არაგჳის მდინარის დასავლეთი ტაშისკარ ლიხის მთამდე და ფანავრამდე თ რ ი ა ლ ე თ ი“ [5:50]. ასევეა სხვაგანაც: „ხოლო ტაშისკარსა და ლიხის მთას ქუეითი არაგუ-ტფილისამდე არიან სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯუენე ქართლისა, მეფისა თანა მყოფი, ტფილისს ზეით, მტკურის სამხრეთისა და თ რ ი ა ლ ე თ ი – ფანავრამდე, არიან წილნი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა... და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა და სპასპეტთა ზედამხედველი“ [5:382].

ლეონტის ცნობებიდან (რომელთაც შემდეგ დაეყრდნო ვახუშტიც) უეჭველია მხოლოდ ის, რომ უფლოსის სამკვიდრო და შემდეგ ფარნავაზისეული დანაწილებით სასპასპეტოსადმი გამოყოფილი ტერიტორია ვრცელდებოდა თრიალეთის ქედის სამხრეთითაც. მაგრამ უშუალოდ შიდა ქართლის სამხრეთ საზღვრად მროველი მხოლოდ სასპასპეტოსთან დაკავშირებით აღნიშნავს ფარავნის ტბას, ხოლო უფლოსის სამფლობელოთა და ზენა სოფლის („რომელსა აწ ჰქჳიან შიდა-ქართლი“) საზღვრებს ერთმანეთთან არ აიგივებს: თუ უფლოსის

მიწა-წყალი იწყებოდა „არაგვითგან და ტფილისითგან“, მის მიერ ზენა სოფლად წოდებული მხარე – „არაგვითგან და არმაზითგან“. ამასთან ზენა სოფლის სამხრეთ საზღვრად აქ საერთოდ არაა ნახსენები ფარავნის ტბა.

ამ სხვაობაზე პირველად ყურადღება გაამახვილა ს. ჯანაშიამ. მან ფარავნის ტბის მოუხსენებლობა სრულიად შემთხვევით გარემოებას მიაწერა – „ტექსტის სათანადო ადგილის მექანიკური ამოვარდნით, ანდა მოკლედ თქმის სურვილით.“ მაშინ როცა თბილისის არმაზით შეცვლა, მისი აზრით, შემთხვევითი არაა და „მოწმობს იმას, რომ ძველი დაყოფა პირველად აქ აღნიშნული, თავის აღმოსავლეთ საზღვრებში არ ემთხვევა სავსებით ავტორის თანადროულ საზღვრებს“ [16:285]. „შიდა ქართლისა“ და „ზენა სოფლის“ ცნებათა ურთიერთმიმართება კი ამგვარად წარმოგვიდგინა: „ამრიგად, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ცნობების განხილვის საფუძველზე ჩვენ ეჭვსგარეშე ვადგენთ ზენა სოფლისა და შიდა ქართლის ცნებების თითქმის სრულს გეოგრაფიულ-ტერიტორიულ იგივეობას“ [16:295], რომელთა საზღვრები „ლეონტი მროველისეული განმარტების თანახმად დასავლეთით ტასისკარს უწევდა, ხოლო სამხრეთით – ფარავნის ტბას“ [16:298].

ჯ. გვასალიამ ლეონტის აღნიშნულ ცნობაში „შიდა ქართლის“ მნიშვნელობის დავიწროება დაინახა: „ამ ადგილის მიხედვით შიდა ქართლის მნიშვნელობა უფრო დავიწროებულია, აღმოსავლეთ საზღვრად არაგვი-არმაზია, არაგვი-ტფილისის ნაცვლად. აქ ტფილისი-არაგვი უფლოსის მთელი სამფლობელოს საზღვრად ჩანს. გამოდის, რომ – ასკვნის ავტორი, – შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მით უმეტეს, რომ უფლოსის მამულის სამხრეთი საზღვარი – ფარავანი ზენა სოფლისათვის (ანუ შიდა ქართლისათვის) აღარაა აღნიშნული.” [4:22].

წყაროს ამ მონაცემის მეტად საინტერესო განმარტებას გვთავაზობს დ. მუსხელიშვილი: „კონტექსტი, ვფიქრობთ, ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ისტორიკოსი აქ შიდა ქართლის სხვაგვარ განსაზღვრას იძლევა... და, კერძოდ, შიდა ქართლის აღმოსავლეთ საზღვარს არმაზზე დებს და არა თბილისზე (როგორც ფიქრობს ს. ჯანაშიაო – დ. მ.), არამედ ისე, რომ არმაზი ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარია და არა შიდა ქართლისა და შიდა ქართლი და ზენა სოფელი კი არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ პირველი მოიცავს მეორეს.“ თავის შეხედულებას ამაგრებს სხვა წყაროებითაც, როგორიცაა: „არჩილის წამება,“ სადაც თრიალეთი ზენა სოფლის გარეთ იგულისხმება, და VIII ს. არაბული ნუსხა, რომლის მიხედვითაც თრიალეთი და ქვემო ქართლი ერთი ერისთავის საგამგეოა [10:71-72].

ამგვარად, დ. მუსხელიშვილმა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან ორი გეოგრაფიული ცნება: ერთი მხრივ შიდა ქართლი – ტერიტორია არაგვიდან და თბილისიდან სურამის ქედამდე და ტაშისკარამდე, და კავკასიონიდან ჯავახეთამდე (თრიალეთის) ჩათვლით, და მეორე მხრივ ზენა სოფელი, რომელიც უფლოსმა უწოდა „ტერიტორიას არაგვიდან და არმაზიდან ტაშისკარამდე (და სურამის ქედამდე) და თრიალეთის ქედიდან კავკასიონამდე... რომელიც ამჟამად მთლიანად შიდა ქართლშია“, როგორც ესმის ავტორს მროველის განცხადება: „აწ ჰქჳან შიდა ქართლი“. აქედან გამომდინარე კი, დ. მუსხელიშვილის აზრით, „ზენა სოფლის“ ცნებიდან არა მარტო თბილისია (მისი „შესავლით“) გამოსარიცხი, არამედ... თრიალეთიც“ [10:72].

ამრიგად, ზენა სოფლის შიდა ქართლთან მიმართების თაობაზე ლეონტი მროველის ცნობებთან დაკავშირებით გამოიკვეთა სამნაირი თვალსაზრისი: 1. ზენა სოფელი იგივე შიდა ქართლია და მთლიანად მოიცავს უფლოსის სამფლობელოს (ს. ჯანაშია); 2. ზენა სოფელი იგივე შიდა ქართლია, ოღონდ უფლოსის სამფლობელოს მხოლოდ ნაწილია (ჯ. გვასალია); 3. ზენა სოფელი და შიდა ქართლი განსხვავებული გეოგრაფიული ცნებებია: შიდა ქართლი უფლოსის სამფლობელოს ჰქვია და ზენა სოფელი მის ნაწილს შეადგენს (დ. მუსხელიშვილი).

## „ზენა სოფელი“ სხვა ქართულ წყაროებში

ზენა სოფელი სხვა ქართულ წყაროებშიც არაერთხელ არის ნახსენები. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების გაგრძელებაში მოთხრობილია: არჩილმა, ქართლის მეფემ, თავისი ძმის, მურვან ყრუს ლაშქართან ბრძოლისას მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი მირის ანდერძის თანახმად, მიათხოვა ამ უკანასკნელის ქალიშვილები ქართლის ერისთავებს. მათგან მესამე და მეოთხე სიძეებს, ნერსე ნერსიანს და ადარნასე ადარნასიანს „განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი“. ამასთან პირველი ქალიშვილის მეუღლე (გუარამ კურაპალატის ძე) ფლობდა კლარჯეთს და ჯავახეთს, მეორე – პიტიახში (ნათესავი ფეროზისა) „მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“, მეხუთეს – ვარაზმანს (რომელი იყო „ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა“) მისცა მიწა-წყალი „კოტმანითგან ქურდისჭევამდე“, მეექვსეს – ჯუანშერს ჯუანშერიანსა (მირიან მეფის შთამომავალს რევის მხრიდან) „მისცა ჯუარი და ხერკი და ყოველი მთიულეთი, მანგლისისხევი და ტფილისი“ [17:242-243]. მხარეთა ამდაგვარი მფლობელობის გათვალისწინებით ს. ჯანაშიამ ივარაუდა, რომ გამოთქმაში „ზენა სოფელი რომელ არს ქართლი“, უნდა არსებუ-

ლიყო განსაზღვრება „შინა“, რომელიც მექანიკურად ჩანს ამოვარდნილი. მისივე განმარტებით, ჯუანშერის ზენა სოფელი „ეს მროველის იგივე „შინა ქართლია“, მაგრამ ცოტაოდენ შემცირებული სახით: მასში არ შედის, ყოველ შემთხვევაში, თრიალეთი, მანგლისისხევი და თბილისი თავისი რაიონით“ [16:288]. მაგრამ ზენა სოფლის ესოდენი შემცირება, მასშტაბების გათვალისწინებით, არცთუ ისე „მცირეოდენი“ უნდა იყოს. მეტიც, აღნიშნული ცნობა საეჭვოდ ხდის საერთოდ ლეონტის მონაცემთა იმდაგვარ გაგებას, რომ თითქოს ზენა სოფელი იმთავითვე ვრცელდებოდა სამხრეთით ფარავნამდე და აღმოსავლეთით თბილისამდე.

„ზენა სოფელს“ ვაწყდებით ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებშიც. შიო მღვიმელის ვრცელი „ცხოვრება“ მოგვითხრობს: იოანე ბერის, შემდგომში ზედაზნელად წოდებულის ხელმძღვანელობით მომავალი ასურელი მამები „მიიწივნეს რა ქალაქად ქართლისა“, ევლავიოზ ქართლის კათალიკოზმა ღამეულ ჩვენებაში იხილა უფლის ანგელოზი, რომელმაც აუწყა „ყოვლად განთქმული“ იოანეს მობრძანება თავის მოწაფეებითურთ და თან მოუწოდა საკადრისად დახვედროდა მათ. ანგელოზის მითითების თანახმად, „აღდგა უკუჱ ღირსი ევლავიოზ ყოველთა თანა ეკლესიის შვილთა და გავიდა ზენა სოფ-ლამდე,“ სადაც მიეგება კიდეც შორი გზიდან მომავალ წმიდა მამებს [12:225].

ზენა სოფელს ახსენებს ასევე „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“: წმ. იოანემ გადაწყვიტა თავისი მოწაფენი ზედაზნის მთიდან გაეგზავნა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში „ქრისტეს სამწყსოს განსამტკიცებლად“ და „წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით გარეჯისა უდაბნოსა, და სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსა“ [1:38].

ზენა სოფელს რამდენჯერმე ახსენებს კიდევ ერთი ასურელი მამისადმი, აბიბოს ნეკრესელისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიული თხზულება. სპარსელთა მიერ ქართლში ბატონობის ხანაში მაზდეანთა სალოცავში მათი სათაყვანო ცეცხლის ჩაქრობის გამო მოგვებმა შეპყრეს რა ნეკრესელი ეპისკოპოსი, „მისწერეს მსწრაფლ ზენა სოფლად მარზპანისა საქმე ესე“ [8:242]. ამის შემდეგ კი „მოიყვანეს იგი მარზპანისა ზენა სოფლად სოფელსა, რომელსა ჰრქჳან რეჯი“ [8:244].

„აბიბოსის წამების“ ბოლოს იოანე ზედაზნელის მოწაფეთა შესახებ აღნიშვნისას კიდევ ერთხელ იხსენიება ზენა სოფელი: „ხოლო ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რჲთა არარაჲ დედათაგანი შევიდეს მას შინა“ [8:247]. აქედან, ბუნებრივია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ზენა სოფელში იოანეს მხოლოდ ერთმა მოწაფემ ააშენა მონასტერი. ნათელია, აგიოგრაფი აღნიშნულ სასწაულთან დაკავშირებულ ამ ერთი კონკრეტული შემთხვევის გამო

ამახვილებს მკითხველის ყურადღებას.

„კოსტანტი ქართველის წამებაში“ ზენა სოფელი იხსენება როგორც წმ. კოსტანტი-კახას საცხოვრისი: „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა კაცი, რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი“ [13:165]. აქ ზენა სოფელი წარმოდგენილია როგორც „ქართლის ქვეყნის“ შემადგენელი ნაწილი. ჩანს, აგიოგრაფს ზენა სოფლის ხსენებით სურს მეტი სიზუსტით წარმოუდგინოს მკითხველს „ქართლელი“ წმინდანის სადაურობა. კონკრეტულად, თუ რომელია ეს ტერიტორია, ამის შესახებ მარტვილობის ავტორი არაფერს გვეუბნება.

## ზენა სოფლის საზღვრები

როგორც წყაროებისა და ლიტერატურის განხილვა გვიჩვენებს, ზენა სოფლის საზღვრებიდან რაც ერთმნიშვნელოვანია, ესაა მისი დასავლეთი და ჩრდილოეთი საზღვარი. ზენა სოფელი დასავლეთით უდავოდ ლიხის ქედამდე და ტაშისკარამდე (სამხრეთ-დასავლეთით) ვრცელდებოდა. ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ, მართალია, წყაროებში არავითარი მითითება არ მოგვეპოვება, მაგრამ, ბუნებრივია, აქ კავკასიონის წყალგამყოფი ქედი იგულისხმება, რომელიც იმავდროულად სამეფოს ჩრდილოეთ საზღვარსაც წარმოადგენდა [16:284].

ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვრების თაობაზე კი ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ძეგლებში იგი „ერთგვარი სახვაობით არის გაგებული: ზოგჯერ იგი თბილისთან არის გატარებული (თუ თვით თბილისზე არა), ხან – მდ. არაგვსა და არმაზზე, ზოგჯერ კიდევ თითქოს მცხეთიდან რამდენადმე დასავლეთითაც. ეს მერყეობა აღმოსავლეთის საზღვრების განმარტებაში სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი“ [16:295-296].

მაინც სადამდე მიდიოდა ზენა სოფლის მიწა-წყალი აღმოსავლეთის მიმართულებით, თბილისამდე (თუ მისი ჩართვით), მცხეთამდე და არაგვამდე, თუ კიდევ უფრო დასავლეთით თავდებოდა რეხულას ხეობასთან? იქნებ სულაც არ ყოფილა იგი ერთგვაროვანი და სხვადასხვა ისტორიული გარემოებებისდა მიხედვით იცვლებოდა და სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სამივე ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ პუნქტზე თამაშობდა, როგორც ეს ს. ჯანაშიამ ივარაუდა? [16:302]. საკითხში გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, მართლა განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან თუ არა ამ მხრივ ზემოდასახელებული წყაროები.

## თბილისი და ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი

მიუხედავად იმისა, რომ „აბიბოსის წამებიდან“ არ ჩანს, ზენა სოფელში რა ადგილას იღებს მარზპანი წერილს აბიბოსის „დანაშაულის“ შესახებ, ს. ჯანაშიას განცხადებით, რადგანაც მარზპანის მუდმივი რეზიდენცია თბილისში იყო, ამიტომაც მისწერეს იქ მას „ზენა სოფლად საქმე ესე.“ შემდეგ კი მეცნიერი დასძენს: „ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ ზენა სოფლად ქართლის გარკვეული (ცენტრალური) ნაწილი იწოდება და ზენა სოფელს განეკუთვნება ალბათ თბილისიც“ [16:293].

მართალია, რომ მარზპანის რეზიდენციას ჩვეულებრივ მართლაც თბილისი წარმოადგენდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული დასკვნა, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რადგან ჰაგიოგრაფის შემდგომი თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ აბიბოსი მარზპანთან მიჰყავთ არა თბილისში, არამედ „ზენა სოფლად სოფელსა, რომელსა ჰრქჳან რეჴი.“ ამდენად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარზპანმა აბიბოსის ნამოქმედარის შესახებ წერილიც რეხში მიიღო და არა თბილისში. მით უმეტეს, თუ სხვა ასურელ მამათა (იოანე ზედაზნელის, შიო-მღვიმელის) ჩვენს მიერ განხილული ცხოვრებანი ზენა სოფლის გარეთ გულისხმობენ არათუ თბილისს, მცხეთასაც კი (ამაზე ქვემოთ), არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში „ზენა სოფლად“ წერილი თბილისში მყოფი მარზპანის მისამართით იწერება. თბილისი ამ აგიოგრაფიულ ძეგლში საერთოდ არ არის ნახსენები. ზენა სოფლის ერთადერთი პუნქტი აქ არის რეხი, სადაც მიჰყავთ შეპყრობილი აბიბოსი მარზპანის მიერ განსასჯელად. თხრობის შინაარსი სხვანაირი გაგების საფუძველს არ იძლევა, გარდა იმისა, რომ მარზპანს წერილსაც იმ მისამართზე უგზავნიან, სადაც ამის შემდეგ მიჰგვარეს ნეკრესელი ეპისკოპოსი.

ერთი უცხოური წყარო, სადაც შესაძლებელია ამოკითხული იქნას „ზენა სოფელი“, არის VII ს. ანონიმური სომხური გეოგრაფია. მასში უცნობი ავტორი ასე აღგვიწერს „ქართველთა ზემო ქვეყანას“: „...დიდი მდინარე მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან, კოლას კანტონიდან, დის ჯავახეთის ძირობაზე, ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დის ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაზე, შუაში ჰყოფს რა კანტონებს გოროთისხევს, ტუნისხევს, რომლის თავშია სიმაგრე დეკიციხე, და მანგლისის ხევს და ბოლნისის ხევს ვიდრე პარუარის კანტონამდე, რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს“ [16:898].

თავიდან ს. ჯანაშია თითქოს სწორ გზას ადგას აღნიშნული აღწერილობის განმარტებისას, როცა ასკვნის, რომ ზენა სოფელი, აქედან გამომდინარე „თავდებოდა თბილისის კანტონთან“ (წყაროში

იგი „პარუარის კანტონად“ იწოდება). მაგრამ იქვე რატომღაც სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, იგივე „თბილისის კანტონი“ ზენა სოფელში იქნეს მოთავსებული. ეს უკანასკნელი მოსაზრება კი სავსებით ეწინააღმდეგება წყაროში დაფიქსირებულ გამოთქმას – „ვიდრე“ (ამ სიტყვაზე თავად ს. ჯანაშია ამახვილებს ყურადღებს: „ხომ არ შეიძლება ტექსტი ისე გავიგოთ, რომ მტკვარი დიოდა ვიდრე თბილისამდე! ან რომ მტკვარი ბოლნისის ხევს განჰყოფდა ვიდრე თბილისამდე! ერთიცა და მეორეც უაზრობაა.“ [16:299].

სომხური გეოგრაფია მიგვითითებს, რომ მტკვარი „ქართველთა (ქართლის) ზემო ქვეყანაში“ მოედინებოდა ვიდრე შემოვიდოდა პარუარის კანტონში, „რომელიც გარს აკრავს ქალაქ თბილისს.“ სამწუხაროდ, პარუარის კანტონის ზუსტი განსაზღვრა ამ ცნობის მიხედვით არ ხერხდება, მაგრამ ერთი რამ კი ნათელია: პარუარის თემი (ან მისი ნაწილი) თბილისის ჩრდილო-დასავლეთითაა განთავსებული, ქალაქსა და ზენა სოფელს შორის. რადგან „ზემო ქვეყნიდან“ (ზენა სოფლიდან) მომდინარე მტკვარი სანამ თბილისს მოაღწევს, მანამდე პარუარის კანტონს გაივლის, რომელიც ასევე ზენა სოფლის მიღმაა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისი სომხური გეოგრაფიის მონაცემებით არათუ ზენა სოფლის გარეთ რჩება, არამედ მათ შორის კიდევ გარკვეული ტერიტორიაც მოიაზრება.

ამრიგად, „აბიბოსის წამება“ და “სომხური გეოგრაფია“ არანაირად არ ეწინააღმდეგება სხვა წყაროებს, სადაც თბილისი აშკარად ზენა სოფლის გარეთაა ნაჩვენები. ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი თბილისამდე არც ერთი წყაროს მონაცემებით არ მოდის. ამდენად გაუმართლებელია რომელიმე წყაროზე დაყრდნობით თბილისის ზენა სოფლის ფარგლებში მოქცევა.

## მცხეთა და ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჯუანშერის თანახმად არჩილ მეფემ თავის ძმისწულთა გათხოვების შემდეგ ორ სიძეს (ნერსე ნერსიანსა და ადარნასე ადარნასიანს) „განუყო ზენა სოფელი,“ ხოლო სხვა სიძეს (ვარაზმანს) მიუბოძა მიწა-წყალი „კოტმანითგან ქურდისჴევამდე.“ წყაროში „კოტმანის“ მოხსენიებამ, რაც ჟღერადობით ძალზე წააგავს მცხეთასთან მდებარე სოფელ კოდმანის სახელწოდებას, ს. ჯანაშიას აღუძრა აზრი, რომ შესაძლებელია, „ზენა სოფლის ფარგლებიდან ჯუანშერი გამორიცხავს მცხეთასა და მის მიდამოებს“ [16:288]. მაგრამ შემდგომი ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევების თანახმად „კოტმანი“ დღევანდელ თაუზ-ჩაისთან იგივდება [9:157; 2:61], და რამდენადაც ქურდისხევი ‖ (ქურდვაჭრის ხევი) იგივე დებედაა, [5:34], ამდენად ვარაზმანის სამფლობელო დაახლოებით ხუნანის საერისთავოს წარმოადგენს [10:73]. აქედან გამომდინარე, ჯუანშერის მიხედ-

ვით ზენა სოფლიდან მცხეთისა და მისი მიდამოების გამორიცხვა არ დასტურდება.

შიო მღვიმელის ცხოვრებაში აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც მართებულად გვიჩვენა ს. ჯანაშიამ, ევლავიოზი ასურელ მამებს იმ ადგილას დახვედრია, რომლის იქითაც (ან საიდანაც) ზენა სოფელი იწყებოდა („განვიდა ზენა სოფლამდე“) და ეს ადგილი მცხეთის მახლობელი წერტილი უნდა ყოფილიყო, რადგან ურთიერთმისალმებისა და მოკითხვის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი ერთად მიბრძანდებიან უკან მცხეთის საკათედრო ტაძარში [16:292-293]: „წარემართნეს უკუჱ და მიიწივნეს წმიდად ეკლესიად“ და თაყვანი სცეს იმ ადგილს, სადაც ღმერთს „აღემართა საკჳრუჱლებით სვეტი იგი დიდებული“ [12:226]. ე. ი. როცა ასურელი მამები მცხეთას მიუახლოვდნენ („მიიწივნეს რა ქალაქად ქართლისა“) და ამის შესახებ შეიტყო ქართლის კათალიკოსმა, რომელიც ეტყობა, ამ დროს მცხეთაში იმყოფებოდა (რაც სრულიად ბუნებრივი ჩანს), თავის მრევლთან ერთად უმალ გაემართა წმინდა ბერების მისაგებებლად და ეს შეხვედრა მცხეთის დასავლეთით, ქალაქის მახლობელ ადგილას უნდა შემდგარიყო.

ამრიგად, ამ ჰაგიოგრაფიული ძეგლის თანახმად ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი მცხეთასთან გადის, თვით მცხეთა კი ზენა სოფლის გარეთ რჩება.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ცნობით, „ზენა სოფლით“ წარვლენილ იოანეს მოწაფეებში ლოგიკური იქნება ის საეკლესიო მამები იგულისხმებოდნენ, რომლებიც მცხეთის დასავლეთ მხარეს ირჩევენ მოღვაწეობის გასაგრძელებლად. ესენი არიან: შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, ისე წილკნელი (რომელიც ადრევე აკურთხეს წილკნის ეპისკოპოსად), თადეოზ სტეფანწმინდელი, მიქელ ულუმბელი და პიროს ბრეთელი. მაგრამ ამ ცნობის მიხედვით ს. ჯანაშია ზენა სოფლის გარეთ ტოვებს შიო-მღვიმესა და წილკანს, ვინაიდან ზენა სოფლიდან გამორიცხავს მცხეთის მიდამოებს (მცხეთად მიიჩნევს რა „ქალაქისა ჩუენისა“-ს, რომელსაც ცალკე, ზენა სოფლის გვერდით ახსენებს აგიოგრაფი), რასაც აკუთვნებს ამ ორ პუნქტს, ხოლო ზენა სოფლის კუთვნილ ტერიტორიას აღმოსავლეთიდან რეხულას ხეობით საზღვრავს: „მაშასადამე,... უკვე რეხულას ხეობიდან... თვით სურამის ქედამდე მთელი ქართლი ‘ზენა სოფელს’ მიეკუთვნება“ [16:292].

აღნიშნული ცნობიდან გამომდინარე, ზენა სოფლის აღმოსავლეთ საზღვრად რეხულას ხეობის მიჩნევას ვერ დავეთანხმებით, რამდენიმე მოსაზრების გამო: 1.თუმცა შესაძლებელია, რომ „ქალაქისა ჩუენისა სამეუფოში“ მცხეთა იგულისხმებოდეს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი მიდამოებიც (განსაკუთრებით დასავლეთი) აუცილებლად ზენა სოფლის გარეთ ივარაუდება. უფრო ზევით ს. ჯანაშია თავად აღნიშ-

ნავდა, რომ „მოცემული ადგილის მიხედვით გარესჯის, სამთავისისა და მცხეთის რაიონის (ზენა სოფლიდან გამორიცხვის – დ. მ.) შესახებ კატეგორიული მსჯელობა ძნელია იმიტომ, რომ შეიძლებოდა ნაწყვეტის მეორე ნაწილი ("ხოლო...") გაგებული ყოფილიყო, როგორც კონკრეტიზაცია პირველი ნაწილისა"[16: 289]; 2.ასეც რომ იყოს, „გარემო ქალაქისა ჩუენისაში" შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შიომდვიმე როგორც სავარაუდოდ საზღვრისპირა და მცხეთასთან ყველაზე ახლომდებარე პუნქტი (ნაკლებ მოსალოდნელია, გეოგრაფიულ მხარეთა შორის აქ წილკანიც იგულისხმებოდეს, წმ. ისე ხომ წმ. იოანეს აღნიშნულ მოწოდებამდე ბევრად ადრე იბარებს კათალიკოსისაგან ამ ეპარქიას); 3.მცხეთიდან დასავლეთის მიმართულებით ზენა სოფელში წაბრძანებულ დანარჩენ 4 ასურელი მამის ყველაზე აღმოსავლეთი სამოღვაწეო პუნქტის რეხულას ხეობაში მდებარეობაც (სამთავისი და ასევე მამება წლევის მთაზე) არ იძლევა იმის პირობას, რომ ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარიც მაინცდამაინც ამ ადგილას გადიოდა. თუ წყარო ამ პუნქტებს ზენა სოფელში მოიაზრებს, რატომ არ შეიძლება ამ უკანასკნელის საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით წარმოვიდგინოთ?

ზენა სოფლის ყველაზე აღმოსავლეთი პუნქტი, რასაც „სომხურ გეოგრაფიაში" ვხვდებით, ესაა მტკვრისა და არაგვის შესართავი: კავკასიონიდან გამოსული არაგვი „ჩადის მტკვარში და (ამრიგად) თავდება ქართლის (ქართველთა) ზემო ქვეყანაში" [16:299]. სხვაგან ეს ადგილი გარკვეული სხვაობითაა მოწოდებული: „არაგვი... ერთვის მტკვარს და (ამით, ამრიგად) ამთავრებს ქართველების ზემო ქვეყანას", რაც განაპირობებს ჯ. გვასალიას ვარაუდს, რომ ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი არაგვის აღმოსავლეთით არ ვრცელდებოდა" [4: 24]. თუ წყაროს ბოლო ვერსია უფრო ზუსტია, ჩვენი მოსაზრება წყაროში სხვა პირდაპირ დადასტურებასაც პოულობს.

ამრიგად, ზენა სოფლის საზღვრების რეხულას ხეობამდე დავიწროება არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. რაც შეეხება მცხეთას, ქართული წყაროები მას ზენა სოფლის გარეთ მოიაზრებენ და ამდენად სრულად შეესატყვისებიან ლეონტი მროველის ცნობას, რომ ზენა სოფელი აღმოსავლეთით იწყებოდა „არმაზითგან და არაგუთგან." შეიძლება დავასკვნათ, რომ ზენა სოფლის აღმოსავლეთი საზღვარი მიუყვებოდა მდ. არაგვს და შემდეგ შესართავამდე არმისული გადიოდა არმაზის მთასთან, რომელიც მცხეთის დასავლეთ კიდეზე მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ერთადერთი წყარო რომელიც ირიბად მცხეთას ზენა სოფელში გულისხმობს, ესაა სომხური გეოგრაფია, რომლის ავტორმაც, ეტყობა, იცოდა რა ზენა სოფლის აღმოსავლეთ საზღვრად ქართველთა მიერ

არაგვის მიჩნევის ამბავი, საზღვარი მდინარის მთელ სიგრძეზე წარმოიდგინა შესართავის ჩათვლით, რითაც მცხეთა უნებურად ზენა სოფელში მოაყოლა. თუმცა ადგილობრივი წყაროების უპირატესობა ამ მხრივ ეულად დარჩენილ სომხურ გეოგრაფიასთან, ვფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს.

## ზენა სოფლის სამხრეთი საზღვარი

უშუალოდ ზენა სოფელს, როგორც ვნახეთ, ლეონტი მროველი სამხრეთიდან არ შემოსაზღვრავს (განსხვავებით დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეთაგან). პირდაპირი მითითება ზენა სოფლის სამხრეთი საზღვრების შესახებ არც სხვა წყაროებში მოიპოვება. თუმცა სხვადასხვა წყაროებში გაბნეული მონაცემები გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევიან.

იქ, სადაც აღნიშნულია, რომ არჩილმა ორ სიძე-ერისთავს ზენა სოფელი განუყო, ასევე მითითებულია, რომ მირის მეორე ასული „მისცა პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“ [7:242]. მაშასადამე, ზენა სოფლის ცნება აქ არ ფარავს თრიალეთს. ხოლო ვინაიდან თრიალეთს უკავია მიწაწყალი მისი მოსახელე ქედიდან ჯავახეთამდე, შესაბამისად ზენა სოფლის სამხრეთ საზღვრად, ამ ცნობის თანახმად, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა თრიალეთის ქედი [შდრ. 10:72].

საგულისხმოა ასევე, რომ თრიალეთს განაგებს ქვემო ქართლის პიტიახში. თრიალეთში პიტიახშის ხელისუფლების განვრცობაზე პირდაპირ მიუთითებს ამ მხარეში დადასტურებული ტოპონიმი „საპიტიახშო“ [2:56]. თრიალეთს (თრელი) ქვემო ქართლის სხვა თემებთან ერთად გუგარქის შემადგენლობაში ასახელებს სომხური გეოგრაფიაც. ისედაც, გუგარქი ხომ ძირითადად ქვემო ქართლის საპიტიახშოს წარმოადგენდა [2:63]. მაგრამ რაკი იმ გარემოებამაც, რომ თრიალეთი გუგარქის შემადგენლობაში არ არის წარმოდგენილი მოსე ხორენელთან [7:106], წარმოშვა მოსაზრება, რომ თრიალეთი ქვემო ქართლის საპიტიახშოში უნდა შესულიყო V-VII სს. შორის [2:62]. როგორც უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არა არის გამორიცხული, თრიალეთი მოსე ხორენელს პროვინციათა ჩამოთვლისას უბრალოდ გამორჩენოდა [9:148]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ VII ს. სომხური გეოგრაფია ადრინდელი ვითარების ამსახველადაც გვევლინება, [9:169;191], შედარებით ადრეულ ხანაში თრიალეთის ქვემო ქართლის საპიტიახშოს შემადგენლობაში არსებობა უფრო დასაშვები ჩანს, ხოლო მოსე ხორენელთან თრიალეთის გუგარქის პროვინციათა შორის მოუხსენებლობა უფრო მეტად იძენს შემთხვევითობის იერს (აღსანიშნავია, რომ პლინიუსი თრიალეთს „თრიარეს“ სახელით ახსენებს ქვემო ქართლის სხვა პროვინცია ტაშირთან ერთად) [2:29].

ამგვარად, თრიალეთის ოლქი ფარნავაზისეული სასპასპეტოს

შემადგენელი ნაწილიდან ქვემო ქართლის საპიტიახშოს (სომხ. გუგარქი, ბერძ. გოგარენე) ერთ-ერთ ერთეულად გადაიქცა [შდრ. 2:61]. V ს-ში გაძლიერებული პიტიახშები, შესაძლებელია, ეუფლებიან თრიალეთსაც. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მანამდე სასპასპეტოს შემადგენლობაში თრიალეთი აუცილებლად ზენა სოფლის ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, V-VIII სს. სხვადასხვა წყაროთა მონაცემებით თრიალეთი ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ერთეულის (საპიტიახშო, გუგარქი, სამშვილდის საერისთავო(?) ერთ-ერთ ოლქად გვევლინება, რაც გამორიცხავს მის ზენა სოფლის ფარგლებში წარმოდგენას. ეს გარემოება კი პირდაპირ მიუთითებს, რომ ზენა სოფლის სამხრეთ საზღვრად თრიალეთის ქედი წარმოვიდგინოთ. ასეთ ვითარებაში გასაგები ხდება, რატომ არ უთითებს ლეონტი მროველი ზენა სოფლის განსაზღვრისას მის სამხრეთ კიდედ ფარავნის ტბას, განსხვავებით უფლოსის სამფლობელოსაგან, რომელიც ჯავახეთამდე ვრცელდებოდა ეს სულაც არ არის შემთხვევითი გარემოება, როგორც ამას ს. ჯანაშია ფიქრობდა. ლეონტი მროველი საერთოდ არ თვლის საჭიროდ, მიუთითოს ზენა სოფლის სამხრეთი საზღვრები. აქ თავისთავად ივარაუდება ყველაზე მკვეთრი ბუნებრივი გამმიჯნავი – თრიალეთის მაღალი ქედი. ნიშანდობლივია, რომ მემატიანის მიერ ასევე ზედმეტადაა მიჩნეული ზენა სოფლის ჩრდილოეთი საზღვრების აღნიშვნაც, რადაც კავკასიონის მთავარი ქედი მოიაზრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც წყაროები ზენა სოფელში უჩვენებენ, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. თუმცა რეხა, სადაც მარზპანს აბი-ბოსი მიჰგვარეს, ჯერ ლ. მელიქსეთ-ბეგისა და შემდეგ ს. ჯანაშიას ვარაუდით, წალკის მახლობლად თრიალეთში მდებარე პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამით კი თითქოს უნდა გამაგრებულიყო მოსაზრება, რომ ლეონტის ზენა სოფელში წალკა-თრიალეთიც შედიოდა. მაგრამ აქ არ არის გათვალისწინებული ერთი საყურადღებო გარემოება. კერძოდ, აღნიშნული რეხის მახლობლად ძველ სოფელ საპიტიახშოს დაფიქსირება ამ მიდამოებს ქვემო ქართლის საპიტიახშოში გვავარაუდებინებს, რაც გამორიცხავს მის ზენა სოფლისადმი როგორც განსხვავებული გეოგრაფიულ-ტერიტორიული ერთეულისადმი კუთვნილებას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში უპირატესობა ისევ შიდა ქართლის რეხას (სავარაუდოდ რეხულას ხეობის რეხას) უნდა მიენიჭოს.

ამგვარად, წყაროების ერთობლივი ანალიზის შედეგად საბოლოოდ შეიძლება დავადგინოთ, რომ ზენა სოფლის საზღვრებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვალებადობა არ შეიმჩნევა. არ დასტურდება სხვადასხვა წყაროებში მისი აღმოსავლეთი საზღვრების თბილისიდან კასპამდე მერყეობა. ზენა სოფელს ჩრდილოეთიდან კავკასიონის წყალგამყოფი ქედი ებჯინებოდა, სამხრეთიდან თრიალეთის ქედი

საზღვრავდა, აღმოსავლეთის საზღვარი მდ. არაგვს მიუყვებოდა და მცხეთამდე აღწევდა. დასავლეთისაკენ კი ზენა სოფელი ლიხის ქედამდე და ტაშისკარამდე ვრცელდებოდა. ლეონტისეული უფლოსის წილი სამფლობელოებიდან ზენა სოფლის გარეთ რჩებოდა თრიალეთი და ტერიტორია მცხეთიდან (არმაზითგან) თბილისამდე.

## წყაროები და ლიტერატურა


1. ასურელ მოღვაწეთა წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1955.
2. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვ. I, თბ., 1979.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
4. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983.
5. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973.
6. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955.
7. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.
8. მოქალაქობაჲ და წამებაჲ აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1964.
9. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977.
10. მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
11. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ იოვანე ზედაძნელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული... წ. I, 1964.
12. ცხორებაჲ და საკჳრუელებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი, საბინინი გ(მ)., საქართველოს სამოთხე, ს.პეტ., 1882.
13. ცხორებაჲ და წამებაჲ კოსტანტისი ქართველისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული... წ. I, თბ., 1964.
14. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზ. I, თბ., 1979.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თზხ. II, თბ., 1983.
16. ს. ჯანაშია, აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, შრომები, II, თბ., 1952.
17. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

*David Merkviladze*

## Zena Sopheli

(From historical geography of the Eastern Georgia)

Summary

The term "Zena Sopheli" (Upper Country) appears in the ancient Georgian stories edited by Leonti Mroveli. According to these stories, Zena Sopheli must be the oldest name of Shida Kartli (Inner Georgia). Zena Sopheli is referred to in other Georgian sources, such as the sequel of "Vakhtang Gorgasali`s life", also in various hagiographical stories: "lives" of Syrian Fathers (Ioane Zedazneli, Shio Mgvimeli, Abibos Nekreseli) and "Martirium of Kostanti the Georgian". The term "Georgian upper country" is mentioned in the anonymous Armenian Geography of the 7th century.

Based on above listed sources and the analysis of relevant scientific literature the goal of the present article is to prove that Zena Sopheli as a geographical-territorial unity was located between the main Caucasian and Trialeti ranges. From the range of Likhi and Tashiskari area, it reached Mtskheta (Armazi) on the east.

Therefore, the Trialeti province and the territory between Tbilisi and Mtskheta belonging to Georgian ethnarch Uphlosi remained out of Zena Sopheli.

*Давид Мерквиладзе*

## Зена Сопели

(из исторической географии Восточной Грузии)

резюме

"Зена Сопели" (Верхняя Страна) упоминается Грузинским летописцем Леонтием Мровели во время рассказа об древнейших событиях Грузии. Как видно из этих сведений, под "Зена Сопели" можно подразумевать дровнейшее название "Шида Картли" (Внутренная Картли). "Зена Сопели" упоминается и в других грузинских источниках: в продолжении "Житья Вахтанга Горгасали", а так-же в разных гагиографических памятниках: в житиях "Сирийских Отцов" (Иоанна Зедазнели, Шио Мгвимели, Абибоса Некресели) и в "Мученичестве Константи Каха". Это название встречается и в анонимной армянской "Географии" VII века.

После изучения вышеупамянутых источников, а также ссылаясь на специальную литературу, сделан вывод, что географическо-территориальная единица под названием "Зена Сопели" находилась в Восточной Грузии, между Кавказским и Триалетскими хребтами. Ее Западная граница доходила до Лихского хребта, а на Востоке она достигала города Мцхета. Примечательно, в границах владений одного из грузинских этнархов Уплоса кроме Зена Сопели входили: на Юге – область Триалети и на Востоке – земли между Мцхета (Армази) и Тбилиси.